სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-041138

ქ. თბილისი

12 ივნისი 2019

საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების, ახალი პროგრამის და მისი ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2019 წლის 11 ივნისის საბჭოს სხდომის №4 ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამოქალაქო ინჟინერია“, ხელმძღვანელი – პროფესორი ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილი;
2. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:
   2.1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის მენეჯმენტი“;
   2.2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სამშენებლო სატრანსპორტო - ტექნოლოგიური საშუალებები“;
3. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

დადგენილებას თან ერთვის: სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**